**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 **სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი** 1877—1892



**ამიერ-კავკასიის საქიმიო ლაბორატორია**

ტფილისში

მიღებული აქვს ვერცხლის დიდი მედალი კავკასიის გამოფენაზედ

აკეთებს უოველსავე სახმარებელს, ჯანისათვის არა საზიანოს, **საკოსმეტიკო ნივთიერებას**, საუკეთესო ღირსებისას, და აგრეთვე **საჭიგიენო იარა-ჭრილობათა შესახვევს მასალას**.

**ხელობადა აქვს კეთება:**

ფიჭვის წყალისა, რომელიც ერთს წუთს სწმენდავს ჭაერს, ჭაერის მყავსადს ოზონს ჭმატებს და ბალზამის სუნს აძლევს.

პეპსინის ღვინისა a la Baudault (ისპანურის ღვინით), რომელიც ძალიან ჭშველის და ხელს უწყობს სტომაქის მუშაობას.

ო-დე-კოლონისა, საუკეთესო ღირსებისა.

მასტიკისა იატაკებისთვის.

მელნისა ანტრაცინისა და ალიზარინისა; ასლის გადასაღება მელანი არაფრით ჩამორჩება საზღვარ-გარეთისას, და

იოდათფორმით შეზავებული მარლისა.

უმთავრესი საწყობი იმყოფება: ფოსტის ქუჩაზედ, ფარმაციის მაგისტრის ვილარეტის აფთიაქში (წურინოვისებურ) და აგრეთვე უმაღლესად დამტკიცებულ კავკასიის საააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობაში, ტფილისსა და ბაქოს. (50—48—20)

---

აპეკუნი თავადი ზაალ თადეოზის ძის გურამოვისა გენერალ-მაიორი თავ. დიმიტრი ვეზიროვი ამით აცხადებს, რომ თიბათვის გასულს ამ წელს იჯარის ვადა თავდება ზაალ გურამოვის მამულებისა საგურამოში და ავჭალაში და, ვისაც ჰსურს აღება ამ ზემოხსენებულ მამულებისა, მიჰმართოს აპეკუნს ან სიტყვიერ, ან ქაღალდით სოფ. ოსიაურში, მიხაილოვის სტანციის ახლო. (4—3)

---

მთავრობის ნება დართვით შვიდს მომავალს ივნისს, დილის 10 საათზედ, შესდგება განსაკუთრებული კრება ტფილისის თავად-აზნაურობისა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში განსახილველად თავად-აზნაურთა მამულების სიისა და გამოსარკვევლად იმ საგნისა, თუ როგორ უნდა დაწესდეს პურის შესანახი ბელლები (მაღაზიები) მაზრებში. ამისთვის ტფილისის მაზრის კეთილშობილთ წინამძღოლი სთხოვს თავად-აზნაურთ ტფილისის მაზრისას მობრძანდნენ ზემოდ აღნიშნულს დროს განსაკუთრებულს კრებაზედ. (3—2)

---

კვირას, 31 მაისს, საღამოს 7 საათზედ, დანიშნულია ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის დარბაზში საზოგადო კრება

საურთიერთო დამხმარებელ

**ამხანაგობისა.**

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) ანგარიში „ამხანაგობის“ კანტორის მოქმედებისა;

2) ამხანაგობის ახალ წევრთა არჩევანი, და 3) მორიგ საქმეთა განხილვა. (5—5)

---

31 მაისს, კვირას, დილის 11 საათზედ, ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის სადგომში (ფრეილინის ქუჩაზედ).

იქნება

**ქართულის დრამატიულის საზოგადოების**

საგანგებო კრება.

კრების საგნები:

1) მომავალის წლის სავარაუდო ანგარიშის განხილვა.

2) საზოგადოების ერთის წევრის საჩივრის გარჩევა წარსულ საზოგადო კრების შესახებ.

3) საზოგადოების წევრთა არჩევანი.

4) მოხსენება სარევიზიო კომისიისა. (6—6)


ტფილისი, 30 მაისი

ჩვენის სამშობლოს სხვა-და-სხვა კუთხიდგან ერთიერთმანეთზედ სასიამოვნო ამბები მოგვდის. ბევრს ალაგას განათლებული ყმაწვილკაცობა, საცა-კი ხერხდება, აარსებს სახალხო ბიბლიოთეკებს, ხალხის განათლების მოყვარულთა დახმარებით აგროვებს წიგნებს, ფულს და მტკიცე საფუძველზედ აყენებს უფასო წიგნთ-საცავებს. ამ სამის დღის წინად ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი საგარეჯოდგან მოწერილი ამბავი, რომ ამ თთვის შვიდს ბ-ნ ტფილისის გუბერნატორს ნება მიუცია, იქონიეთ ს. საგარეჯოს უსასყიდლო ბიბლიოთეკაო. საგარეჯოს ახალგაზდობას უკვე ჰქონია შეგროვილი 300-მდე ქართულ-რუსული წიგნი და უეჭველია, შემდეგისთვის ერთი ათად და ასად აქცევს წიგნების რაოდენობას.

რა თქმა უნდა, საერო დ უსასყიდლო წიგნთ-საცავს დიდი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში, განსაკუთრებით იმისთანაში, როგორიც გახლავთ ჩვენი ხალხი. საზოგადოდ ბავშვი, რომელიც სამსა და ოთხს წელიწადს დაჰყოფს სასოფლო სკოლაში, აგრე მტკიცედ ვერ შეითვისებს სწავლას, რომ სკოლის შემდეგ მალე არ დაავიწყდეს იგი. ხშირად ასეც ხდება ცხოვრებაში. ხუთი-ათის წლის შემდეგ ზოგს ბავშვს წერა-კითხვაც-კი ავიწყდება. ამის მაგალითები მეტად ბევრია რუსეთში. აქ გასაკვირველი არა არის-რა. თუ სკოლის შემდეგ ბავშვი წიგნს თვალით ვეღარ დაინახავს, ვეღარას წაიკითხავს, უეჭველია მალე დაავიწყდება ყმაწვილობაში მიღებული სწავლა. ბევრი სურვილიც რომ ჰქონდეს წიგნის წაკითხვისა სოფლის ყმაწვილს, უსახსრობის გამო სურვილს ვერ დაიკმაყოფილებს და ძალა-უნებურად უნდა მოაკლდეს ჭკუის საზრდოს.

თუ ეს ემართებათ რუსეთში სოფლის სკოლაში კურს შესრულებულთ, ერთი-ათად საშუხარო უნდა იყოს ჩვენის ბავშვის მდგომარეობა, რომელიც სამიოთხის წლის განმავლობაში იძულებულია ისწავლოს, სამშობლო ენას გარდა, უცხო ენა. უეჭველია ასეთი მოსწავლე რიგიანად და საფუძვლიანად ვერც ერთს ენას ვერ შეისწავლის, კაჭკაჭივით გაზეპირებული სიტყვები ორს თთვეზედ დაავიწყდება და დარჩება ისეთივე, როგორიც იყო სკოლაში შესვლამდე. ეს მარტო ჩვენს ბავშვებს არ ემართებათ. ამას წინად რუსული გაზეთები ლაპარაკობდნენ, რომ პოლშაში ყმაწვილები ძალიან უკანა რჩებიან სწავლის მხრივ რადგან ვერ დაუძლევიათ უცხო ენას სიძნელეო.

ნათქვამიდგან ცხადადა სჩანს, რა დიდი მნიშვნელობა ექნება სოფლებში საერო უსასყიდლო ბიბლიოთეკებს. მათის შემწეობით სოფლელს არ დაავიწყდება ის ორიოდე სწავლის ნაფლეთი, რომელიც მიღებული აქვს სკოლაში და შეიძლება წიგნების შემწეობით კიდეც წაუმატოს თავის გონებითს განძს. ბიბლიოთეკები უმნიშვნელოხი არ იქნებიან არც დიდებისთვის, სოფელი გონებით ისეა ჩამორჩენილი, რომ რიგიანი წიგნი იმის-

---

# ფელეტონი

**გაბრიელის დღიური**

II

საწყალო, ჩემო თავო, საწყალო გაბრიელო! ტყუილად არ უთქვამს ვილაცას: „მიდის მოდის გაბრიელი, არ ვინა ჰყავს მადრიელიო“.

მეც არავინა მყავს მადრიელი ჩემის თავის მეტი და არც საჭიროა სხვისი მადლობა, სხვისი მადლიერობა. კაცის მომადლიერებასაც შნო და უნარი უნდა: გალესილი ენა, გახეხილი კბილი. გული? იმას ვინ დასდევს. საქმე გარეგნობაა, გული თუნდ გველბაყაყებით გქონდეს სავსე. ჩემთვის, ჩემდა საუბედუროდ, იმ დალოცვილს ღმერთს არ მოუცია უნარი გარეგნობის სიკეთისა. გული როგორი მაქვს, ის ღმერთმა იცოდეს!..

სწორედ საწყალს კაცს რომ იტყვიან, მე ვარ. თუნდ დიდად, დიდად მადლობელი ვიყო კაცისა, ვერ მომიტრიალდება ეს დაწყევლილი ენა, რომ სთქვას „გმადლობთ, ჩემო კარგო, სიკეთისათვისაო“. საყვარელს მეგობარს შევხვდები დ იმასაც ვერ ვეუბნები გამარჯვებას, ჩემი საწყალი თვალები თუ შეატყობინებენ მისალმებას.

ან-კი, ჩემთვის რომ ვსთქვა, რა მეგამარჯვება, რა მესალმება?! ვის უქნია ჩემთვის სიკეთე, რომ მადლობა გადავუხადო?!. არავის და კიდეც ამიტომ არ არის დაჩვეული ჩემი ენა მადლობის თქმას. დიაღ, არავის არ უქნია ჩემთვის სიკეთე, სიმწარის, ნაღველის, სიავის მეტი ჩემთვის არავის არა-რა დაულევინებია.ამიტომ სჯობს, ჩემს ქერქში ვეტენო, საწყლურად, ბეჩაურად, როგორცა ვარ ასე. ჩემის ოთახის დაობებული კედლებიც რომ ამას მეუბნებიან: იყავი შენთვის მარტოდ-მარტო, რა გეჩირთიფურთება, შე უბედურო, შემოგვხედე ჩვენ და ისე მოიქეციო.

—

სულელო კედლებო! თქვენ აგყვეთ ცოცხალი ადამიანი? მაშ რისთვის მომაბა ღმერთმა ტანზედ თავი, თუ-კი არაფერს ვიფიქრებ? რისთვის ჩამიდო ღმერთმა ენა პირში, თუ-კი არაფერს ვიტყვი ქვეყნის უმადურობაზედ, ჩემს თავსა, ჩემს ნაცნობებსა და ჩემს ბედ-იღბალზედ??. თქვენ სდუმდით, კედლებო, როგორც დადუმებულნი ხართ და საწყალნი,— სდუმდეს, როგორც მდუმარეა, თქვენ ფერი ადამიანი, რომელიც ვირსაც ისე გადაჰხედავს, როგორც ადამიანიშვილს.

ზოგსა ჰგონია, ვითომ საწყალს გაბრიელს აზრი არა აქვს. ჰმ! საწყალი გაბრიელი, ჩემო ბატონო, თუმცა აზრუმს არ არის, მაგრამ აზრი-კი აქვს და ძალიან სუქანი აზრიც და არა ერთი, მაგრამ რა ვუყო ამ აზრებს, სად წავიღო, სად დავთესო? აბა მიჩვენეთ, რომელს მამულს მივაბარო!.. საწყალი აზრები! მიწყვიან თავში, როგორც სიგარები კოლოფში, ამოვიღებ, ხან ერთს მოვწევ, ხან მეორეს, კოლოფი-კი მაინცა და მაინც სავსეა სავსებით. ვერც გამიზიარებია ვისთვისმე, მეშინიან სულელი არ დამიძახონ. თან იმასაც ვფიქრობ, მე რას ვაკეთებინებ ჩემს აზრებს, სხვამ რა გააკეთებინოს? ამაში-კი, უნდა აღვიარო, მოტყუებული ვარ, როგორ თუ რად? ის იმას გაუზიარებს, სხვა სხვას და გავრცელდა აზრი; რაც მეტი იქნება ჩემის აზრისა, იმდენი აზრისათვის და საქმისათვისაც კარგია. მაგრამ... მაგრამ... ეჰ, ვერა ვბედავ, ხასიათი მაკლია, ხასიათი! ცხოვრებამაც დამჩაგრა, მეგობრებმაც. ყველამ გული გამიტეხა, კედლებიც-კი იმას მეუბნებიან: გაჩუმდი, ბეჩავო, გაჩუმდიო!

—

სხვას რა დავემდურო, რომ ჩემი ცოლიც-კი მე დამცინის, ისიც ბეჩავს, საცოდავს კაცს მეძახის. რა მითხრა იმ დღეს? ნეტავი ერთი ნაჯახი მომცა, შენთვის თავში დამერტყა, რომ ეგები მაშინ მაინც გადმოგცვივოდა თავიდგან ეგ რაღაც უბედური აზრები გილაგიაო. დედაკაცი არ არის, იმას აზრები კარტოფილი თუ ჭარხალი ჰგონია! ვითომ იმას ის აწუხებს, ის აღონებს, მე რადა ვარ აზრებისაგან დაღონებული, რად ვიტანჯები?! არ მოგიკვდეთ გაბრიელი, იმას ჩემი წყენინება უნდა. ხომ გამარჯვებულია ჩემზედ, უნდა უფრო მომეტებულად გაიმარჯოს, დამჩაგროს, წინდად ჩამიცვას ფეხზედ და დასტკბეს ამითი, დაიხედოს ზედ მალმალ, რომ გაბრიელი წინდად აცვია, ათბობს, ამშვენებს კიდეც და როცა უნდა ჩაიცვამს, როცა უნდა გაიხდის.

როგორ გგონია, რითია გამარჯვებული ჩემი ცოლი ჩემზედ? ჯერ იმითი, რომ, როცა პირველად შევირთე, მაშინ მე მიყვარდა იგი, არ ვუნდოდი ქმრად, მე-კი ვსტიროდი, ჩემი თავი კალთაში გამოვუხვიე; დიდს უარზედ იდგა, მატყობდა ვუყვარდი და უფრო ინაზებოდა. ბოლოს მოწყალება მოიღო; დიაღ, მოწყალებად მაგრძნობინა ცოლად გაშოყოლა. მას აქეთ ნელ-ნელა ის გაბატონდა და მე ყმა შევიქენ. ვინ აქო სიყვარული, ან რად აქეს? იმახ მე ხომ მონად გამხადა. შეყვარებული ვარ და იმის გამო მონა. რასაც ჩემი ცოლი მიბრძანებს, ის უნდა ავასრულო. დამონავებულია ჩემი გული, რის გამოც არა ვარ თავისუფალი, თუმცა-კი მესმის, რომ თავისუფლება კარგი რამ არის... სიყვარული სწორედ რომ თავისუფლების საპატიმროა.

ოჰ, ღალატო, ღალატო! ღალატი მაშინებს. არა მგონია, თუ ჩემი ცოლი მღალატობდეს. რატომ არა მგონია? იმიტომ, რომ მიყვარს. ჩემი სიყვარული დაიჭერს ვითომ ჩემს ცოლს ღალატისაგან? არა მგონია, მანამდე შეიძლება, სანამ მე მხედავს. მერე თუ თვალი იცდინა, სხვას გადაუქნევს კუდს. ასე უნდა იყოს, თავის მოტყუება რა საჭიროა?! მაინცა და მაინც

თვის ღვთის კურთხევა იქნება.

ევროპაში დიდი ხანია შეგნებული აქვთ მნიშვნელობა ბიბლიოთეკებისა და კიდეც მოჰფინეს წიგნ-საცავებით ყველა მცირე სოფელიც-კი. ბოლოს დროს რუსეთშიაც მრავალგან აარსებენ ბიბლიოთეკებს და ბევრგან მთავრობაც ეხმარება. თვით სამამასახლისოს, თუ-კი ვინმე ჩააგონებს და აუხსნის, კანონით უფლება აქვს (მეექვსე პუნკტი 47 მუხლისა „სოფლის დებულება“, გამოცემა 1876 წლისა.) გასწიოს ხარჯი სწავლის გავრცელებისათვის. ასეთის უფლებით ბევრმა სოფელმა ისარგებლა რუსეთში და დააარსეს ბიბლიოთეკები, რომლებშიაც ეხლა ათასობით ითვლება სხვა-და-სხვა წიგნი.

ყველაფერში წინ-წასული ევროპა ამ მხრიდაც მეტად დაწინაურდა, ასე გაშინჯეთ, საგლეხო უნივერსიტეტებიც-კი დააარსეს. ჩვენ, რასაკვირველია, მალე ვერ ველირსებით ამ ბედნიერებას, მაგრამ რაც მოსახერხებელია და შესაძლებელი, ის რატომ არ უნდა გავაკეთოთ ჩვენის ერის საბედნიეროთ.

კანონი, როგორც ზემოდ დავინახეთ, ხელს უწყობს სოფელს სწავლა-განათლების მიღების საქმეში. უეჭველია, ყოველ სოფელში თითო განათლებული კაცი მოიპოვება, რომელსაც შეუძლიან აუხსნას ხალხს ბიბლიოთეკების მნიშვნელობა, დაადგენინოს განაჩენი და საქმე გაიჩალხება. იმისთანა სოფელს, როგორიც საგარეჯოა, სადაც ათასი კომლი კაცი ითვლება, განა გაუჭირდება წელიწადში ხუთი-ათი თუმანი გამოიღოს წიგნების სასყიდლად? სრულიადაც არა. ათის თუმნით-კი ათს წელიწადს ძვირფასი ბიბლიოთეკა შესდგება.

მივაქცევთ ამ გარემოებას ჩვენის სოფლად გაფანტულ ნასწავლის ყმაწვილ-კაცების ყურადღებას და ვისურვებთ, რომ მალე ყოველს ჩვენს სოფელში, პატარასა თუ არა, დიდებში მაინც, გამართული იყოს ერის გონების გამაღვიძებელი საუნჯე, რაც სამართლიანად ეწოდება საერო ბიბლიოთეკებს.

ა. ფრონელი

---

# ახალი ამბავი

*** ვარანცოვის ხიდზედ ბიბლიოთეკაში ივნისიდგან სამკითხველო იქნება გამართული. ამ სამკითხველოში მოიპოვება ყველა ადგილობრივი და რუსული ჟურნალ-გაზეთი. სამკითხველოში შესვლის ფასი ძლიერ იაფია, 2 კაპეიკი.

*** დღეს მუშტაიდში სეირნობა და კონცერტი იქნება. კონცერტში მონაწილეობას მიიღებს გურულების ამხანაგობა. კონცერტის შემოსავალი დანიშნულია წარსულს წელს გარდაცვალებულის კაპელმეისტრის რიზენის სახლობის სასარგებლოდ.

*** ჩვენს მკითხველებს ეხსომებათ, რომ ბ-ნ ზავრიევის საჩივარი ბ-ნს ალიხანოვზედ შეურაცხების თაობაზედ ქალაქის საბჭომ არ შეიწყნარა და უყურადღებოდ დასტოვა. ბ-ნი ზავრიევი არ დაჰყაბულდა ამას და საჩივარი საგუბერნიო მმართველობაში გადაიტანა. ეხლა ჩვენ შევიტყეთ, რომ ეს საჩივარი საგუბერნიო მმართველობას შეუწყნარებია და სასამართლოს გამომძიებლისათვის გარდაუცია გამოსაძიებლად.

*** როგორც შევიტყეთ, 3 მომავალ თთვის თებერვლისას ათავებენ ეგზამენებს ტფილისის სასულიერო სემინარიაში. პირველ სამის კლასის ეგზამენი უკვე დაუბოლოვებიათ და ამ ჟამად უფროსის კლასების ეგზამენი-ღაა დარჩენილი. წრეულს მეექვსე კლასი, რომელშიაც ორმოცამდე, თუ ცოტა მეტი მოწაფეა, სრულიად ათავებს სწავლას. ამათში სამი სახელმწიფო ხარჯით გაგზავნილ იქმნება რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქის სასულიერო აკადემიებში. სამივენი, გასაგზავნნი, ქართველები არიან.

*** ამ ორის კვირის წინად ჩვენს გაზეთში გვქონდა დაბეჭდილი, რომ მ—ვის 15 წლის ქალი დაიკარგაო. პოლიციამ ბევრი ეძება მას აქეთ, მაგრამ ვერსად ვერ იპოვნა, ამბობენ, რომ ეს ქალი ვიღაც ბოროტ-განმზრახველებს მოუტაცნიათო.

*** 29 მაისს ბ-ნი ქალაქის მოურავი, რამდენიმე ხმოსანი საბჭოსი და ქალაქის ინჟენერი ენფიაჯიანცი იყვნენ ავჭალაში და დაათვალიერეს მტკვრის წყლის საწმენდი ფილტრები, რომლებსაც ეხლა აკეთებს ინჟენერი. მნახველნი დარწმუნდნენ, რომ რაკი ამ ფილტრების გაკეთება დამთავრდება, იმოდენა დაწმენდილი წყალი მოემატება ქალაქის მილის წყალს, რომ კვლავინდებურ ნაკლულევანებას აღარ იგრძნობენ მოქალაქენი. ამ ზაფხულს საჭიროა მხოლოდ, რომ ამ საქმის დასამთავრებლად საბჭომ მისცეს გამგეობას კიდევ ორი ათას თუმნამდე ფული.

*** ამას წინად გარდაიცვალა ტფილისის მოქალაქე სერგო ტეროჰანეზოვი, რომელმაც დასტოვა შემდეგი ანდერძი: დამივალებია ჩემნი მემკვიდრენი, რომ წელიწადში 300 მანეთი აძლიონ ტფილისის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელს გამოსაზრდელად თითო ღარიბის მოსწავლე ქალისაო და 200 მანეთიც ყოველ წლივ სანახევროდ ორს ობოლს გასათხოვარს ქალს მზითვადაო, ხოლო ეს ქალები უნდა იყვნენ ობოლნი მექუდეთა ამქრისაო. ეს ჩინებული ანდერძი უკვე დაამტკიცა ტფილისის ოლქის სასამართლომ და მისი ასლი გაუგზავნა წმ. ნინოს დედათა სასწავლებელს და სახელოსნო გამგეობას სახელმძღვანელოდ.

*** 23 მაისს ტფილისის ბოქაულებმა დაათვალიერეს სასტუმროები, ქარვასლები და დუქნები. მეხუთე საბოქაულოს ქარვასლებსა და დუქნებში საშინელი უსუფთაობა აღმოჩნდა. პოლიცია ამ ადგილებს მეპატრონეთა ხარჯით გაასუფთავებს და სადეზინფენქციო წამლებით აპკურებს.

*** აგერ უკვე ერთი კვირაა, ტფილისის საზაფხულო თეატრში წარმოდგენებსა ჰმართავენ ს.-პეტერბურგის საიმპერატორო სცენის არტისტები: ქ-ნნი მიჩურინა-სამოილოვისა, პალჩიკოვისა, ბ-ნნი დავიდოვი, ლენსკი და სხვ. გუშინ-წინ, 29 მაისს, ბენეფისი იყო ქ-ნ მიჩურინასი. წარმოადგინეს შილლერის ხუთ-მოქმედებიანი ტრაგედია „მზაკვრობა და სიყვარული“. წარმოდგენას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. მობენეფისეს ხელოვნებით აღტაცებულმა საზოგადოებამ რამდენიმე საჩუქარი მიართვა, ყვავილების კონანი და ბრილიანტის ნივთეულობანი. ეს დასი ტფილისში 4 თიბათვემდე დარჩება. უკანასკნელს წარმოდგენას ჰმართავს 3 თიბათვეს და წარმოადგენენ გრიბოედოვის „Горе отъ ума“-ს.

*** სპარსეთში მძვინვარე ხოლერის შესახებ სპარსეთის ელჩმა ტფილისში გუშინ შემდეგი ცნობანი მიიღო ხორასნიდგან: ხოლერა სპარსეთში ავღანისტანიდგან გადმოსულა, რადგანაც თავის დროზედ კარანტინი არ დაუწესებიათ. პირველად ხოლერა გერათიდგან მეშედში გადმოვიდა თურმე და ძალიან ბევრნიც იხოცებოდნენ, ას ხოლერით ავადმყოფ შორის სამოცამდე იხოცებოდა, ყოველ დღე ხოლერით ავად ხდებოდა ორას-სამასი კაცი და იხოცებოდა ასზედ მეტი. ეხლა ხოლერა მეშედში შემცირებულა და ას ავადმყოფიდგან ამ უკანასკნელს დღეებში ოცზედ მეტი არ იხოცებოდა. ამასთანავე ხოლერით ავადმყოფებიც ცოტაღაა მეშედში. მეშედის მცხოვრებთა უმეტესობა სპარსეთის დასავლეთს პროვინციებსა და მთებში გაქცეულა. ხოლერისა გამო ხორასანში ვაჭრობა შემდგარი იყო, მაგრამ ეხლა-კი სოვდაგრებმა ისევ ხელი მიჰყვეს ვაჭრობას. ამ ცნობებს გარდა, ტფილისში ამბავი მოვიდა, რომ მეშედიდგან ხოლერა ენზელშიაც გადმოსულა, სადაც ამ თთვის 26 და 27 ხოლერით ავად გამხდარა ათი კაცი, რომელთაგანაც ერთი მომკვდარა. მის უდიდებულესობას სპარსეთის შაჰს ხოლერის მოსასპობლად მიუწვევია ევროპის ექიმნი, რომელთაც თთვეში ოთხმოც-ოთხმოც თუმნამდე ჯამაგირი უთხოვნიათ. შაჰს ეს ძალიან სძვირებია და ექიმები აღარ მიუწვევია ევროპიდგან, მხოლოდ სპარსეთის ექიმებისთვის უბრძანებია, თვალ-ყური დაიჭირეთ სპარსეთის სხვა-და-სხვა ქალაქის სისუფთავეზედ და ყოველივე ღონისძიება იხმარეთ ამ გადამდებ სენის მოსასპობლადაო. ამასთანავე ხოლერიან ალაგებიდგან მგზავრს უკარანტინოდ თეირანში აღარ უშვებენ თურმე.

გუშინ კიდევ ამბავი მოვიდა, რომ ქალაქ რეშტშიაც აღმოჩენილა ხოლერა, მაგრამ ჯერ არავინ არ მომკვდარა. რუსეთის ექიმები ყოველსავე ღონისძიებას ხმარობენ, რომ ეს სენი რუსეთში არ გადმოვიდეს.

*** ბაქოს ახლოს კარანტინისათვის ათს დღეს დაიჭერენ არა მარტო სპარსეთის ქალაქებიდგან მოსულს გემებს, არამედ იმ გემებსაც, რომელიც მოდიან ბაქოში უზუნადადგან, რადგანაც შესაძლოა, რომ იმიერ-კასპიის მხარეს როგორმე ჩუმად გადმოიტანონ ხოლერა.

*** ჭიათურა: 23 მაისს თავადთ წერეთლებსა და გლეხებს ღუღუნიშვილებს დიდი ჩხუბი მოუვიდათ ქვაგუნდის ადგილების დავის თაობაზედ. პოლიციამ ქვა-გუნდის ადგილები წერეთლებს ჩააბარა, მაგრამ ღუღუნაშვილები მაინც არ ანებებენ. როცა ღუღუნაშვილებს შავი ქვა მიჰქონდათ, წერეთლებმა გზაში მოასწრეს და ამაზედ აუტყდათ ჩხუბი, რომლის დროსაც გლეხების მხრივ მოკლულ იქმნა უღელი ხარი და ორი კაცი მძიმედ დაიჭრა, ხოლო წერეთლების მხრივ ერთი კაცი ტყვიით არის გაკაწრული და მეორე ქვითა და ჯოხით ნაცემი.

---

ამაზედ ფიქრი საჭირო არ არის. ათასიც ვიფიქრო, არაფერი გამოვა, ტყუილად თავს ვიტკენ. დარჩეს, დარჩეს ეს ფიქრები!..

—

დღეს მეტად ცუდს გუნებაზედა ვარ: რაღაც გამოურკვეველი სევდა დამაწვა გულზედ საფლავის ქვასავით. ეს უნდა იყოს, თუ იქნება, ის ტანჯვანი, ის სასოწარკვეთილება, რაც მე ცხოვრებაში გამოვიარე; ის უქმი, უნაყოფო სიცოცხლე, როგორც მე ვიცოცხლე და ვცოცხლობ დღესაც, ყველასათვის უსარგებლოდ, უნაყოფოდ. მინდა დავწვე პირ-ქვე და ისე ვიტირო, რომ ჩემი ცრემლი არავინა ჰნახოს... მე ჩემს ცრემლებსა ვმალავ და ვინ იცის, რამდენი სხვა ჰმალავს ცრემლებს, რამდენი კიდევ აშკარადა სტირის. სად მიდის ეს ამოდენა ცრემლი, სად იკარგება? რატომ ერთად არ იყრის თავს ეს ცრემლის წვეთები, ხომ ვიცი, ერთი კაი მოზრდილი ზღვა დადგებოდა და ქვეყანა იმას „ცრემლის ზღვას“ დაარქმევდა. ივლიდა ხალხი მის სანახავად, მთელი ქვეყანა იქ მოიყრიდა თავს. იქნება მაშინ მაინც ეცნო ქვეყანას თავისი თავი...

სჯობია შორს არ წავიდე. ან-კი რად უნდა ქვეყანას და მასთან ერთად ადამიანს თავისის თავის ცნობა? არ უნდა იმიტომ, რომ ჰგრძნობს, ამ ცოდნას მისთვის ცუდი შედეგი ექნება: უსიამოვნება. ამისათვის, სირაქლემასავით, როცა იგი მონადირეს დაინახავს, თავს ქვიშაში ჰმალავს, ვითომ-და მე რომ ვერა გნახო, შენც ვერ დამინახავო. მაგრამ მონადირე ჰხედავს ფრინველს და გული-გულში ეცინება. თუ ქვეყანა ვერა ჰხედავს თავისის თავის ცნობას, ესა ჰხედავს მას და კმაყოფილების ღიმილი უქრის სახეზედ... ამ შემთხვევაში ქვეყანა ჰკვიანად იქცევა. რად უნდა თავის ცნობა, შეგნება თავის საქმეთა, როცა ჰგრძნობს, რომ ბოლოს, სულ ბოლოს „ამაოებაა ყველაფერიო“ უნდა სთქვას. რად უნდა იყოს ყველაფერი ამაოება?! არ არის ამაოება ბუნების მოქმედება, არც კაცის ხელის და ტვინის შრომა. მე ამასა ვფიქრობ ჩემის საწყალის ფიქრით...

ან-კი ამაოება აქ რა შუაშია? ნაცვლად იმისა, რომ გავიგო, რადა სტირის ზოგი, რად იტანჯება ჩემსავით ათასი და ათი ათასი, მე ამაოებაზედ გავაბი საუბარი. დიაღ, რადა სტირიან მრავალნი? განა თქვენ არ იცით იმათის ტირილის მიზეზი, მაგრამ ყურს იყრუებთ, თავს იმართლებთ. ცხოვრება, ქვეყანა ასე გაუჩენია ღმერთსა და ასე უნდა იყოსო! აი თქვენ რას მიპასუხებთ. არა, სტყუით. ქვეყანა ძალიან კარგს გზაზედ დააყენა ღმერთმა, ცისა და ქვეყნის დამბადებელმა, მაგრამ ჩვენ, კაცთ, გავრყვენით ღვთისა ქმნილება; სული სპეტაკი ჩაგვბერა უფალმა, მაგრამ ჩვენ შევმურეთ იგი. საცა სული და გული წამხდარია, იქ რაღა ხეირი იქნება... ქვეყნის ამბები სულისა და გულის ამბებია, იმათი ღვაწლი და ამაგი.

ქვეყანას უნდა კარგი წეს-წყობილება მივცეთო, ჰყვირიან. იმას როდი ამბობენ, ქვეყნის სული და გული გავაუკეთესოთ ჯერ, რადგან გაუკეთესებული სული ქვეყნისა მუდამ კეთილის წესის დამადგენელი იქნება. ამას საქმის ბოლოდგან დაწყება ჰქვიან. არც-კი გასამტყუნარნი არიან ამის მღაღადებელნი: რა ჰქმნან, ეჩქარებათ, კარგის წესების დადგინება უფრო ადვილია, საჩქაროდ მოსახერხებელი, ვიდრე მთელის ქვეყნის სულისა და გულის გაუკეთესება. სხვა რად გავამტყუნო, როცა მე თითონაც ერთს დროს ასე ვსჯიდი და ბოლოს-კი ჩემმავე თავმა მაიძულა ენისათვის კბილი დამედგა, თითზედ მეკბინა.

—

სიჯიუტე ცხოვრების წვრილმან საქმეებში გმობილია და აზროვნობის სამეფოში-კი ქებული. რადა? ეხლა მე ჩემს აზრს ჯიუტად ვდგევარ. მე ვცდილობ ჩემი გავიყვანო, მეორე თავისას, მესამეც აგრეთვე და სხვა და სხვა. ვსთქვათ, მე ვარ მართალი. ამისათვის უნდა უსათუოდ ვიჯიუტო? რა გამოვა? ის, რომ თავის წადილის ჯიუტს დამიძახებენ, ჯიუტის სახელი არ ამცდება. იტყვიან: გაბრიელი ამ აზრისა იყო სიკვდილამდე, როგორც ვირს საპალნე, ეკიდა ერთი აზრი, ვერც აღსრულებაში მოიყვანა იგი და ვერც თავიდგან მოიშორა, ჯიუტი იყოო. ვიცი, ამას იტყვიან, ქვეყანა უსამართლოა... რაც უნდათ, ისა სთქვან, მე მიწას ქვეშ მექნება ამოფარებული თავი და ვერაფერს გავიგებ. კაცის სიკვდილის შემდეგ ვითომ ერთი არ არის წყევლა და დიდება?!. ვითომ იგივე წყევლა არ არის, გამოჩენილს კაცებს რომ ვაქებთ და ვადიდებთ იმ დროს, როცა იმათ არაფერი არ ესმით. დიდება მკვდრისა ცოცხლის წყევლას ჰგავს, იმიტომ-რომ წყევლითაც ზურგს უკანა ვსწყევლით ხოლმე, ვისიც ჯავრი გვჭრის. აგერ ჩემი ცოლი თუმცა არ მასმენს, მაგრამ გული-გულში-კი მწყევლის, დუდუნებს ტუჩებს ქვეშ: „შენ თუ დღიური სწერე, შენმა მზემ, ვითომ ჩემთვის საკაბე გიყიდნიაო. სულელი! ბლაჯნის რაღაცაებს, ნეტა კაცს მაინცა ჰგავდეს, ნაბლაჯნიც მაშინ რასმე დაეკვანებოდაო“. ვიცი ამას ჰფიქრობს ის თითონ სულელი და თავ-ქარიანი ადამიანი. სირცხვილი რომ არ იყოს დედაკაცის ცემა, ვსტაცებდი ნაწნავებში ხელს, დავაჭყანჭყარებდი, დავაბჯენდი ყელში დანას და ვეტყოდი: აბა თუ ბიჭი არა ვარ-მეთქი!

—

ვის რა უნდა? ვის რა კუდი ეწვება? მე დღიურს ვადგენ ჩემთვის, ჩუმად და ვგონებ ნებაცა მაქვს დამოვალეცა ვარ არაფერი დავმალო. არა, უსათუოდ უნდა ამოვწურო, ამოვწურო რაც გულში რამა მაქვს დამალულ-დაფარული! თუ კაცი ვარ, ასე უნდა მოვიქცე. კარგს რომ ვაქვეყნებ ქაღალდზედ, ავიც არ უნდა დავმალო ჩემის გულისა, ჩემის კაცობისა.

საწყალო გაბრიელო, მართალი კაი კაცი ხარ? აბა, თუ მართლა კაი

ეროვნული ბიბლიოთეკა

⁂ სიღნაღი: უკანა მხარში ყანებს რაღაც ნაირი სიყვითლე გაუჩნდა, ხალხი ძლიერ შიშობს, ზიანი არა მოგვივიდეს-რაო. ქვემო ქიზიყის მხარეს კიდევ იმას უჩივიან, თაგვი და ფრინველი აფუჭებს მოსავალსაო. ბალახი ჩინებულია. საცაა თიბვაც დაიწყება.

⁂ 19 ამ თთვეს ივრის ხეობაზედ ძლიერ დასეტყვა ვენახები, სხვათა შორის ს. და ი. ო. ზანდუკელების და ბოსტნებიც გაანადგურა.

⁂ ვორონეჟის საგუბერნიო ერობას მთავრობისაგან 50,000 მანათი უთხოვნია სესხად კავკასიაში პურის სასყიდლად. („Нов. Вр.“)

⁂ ხუთშაბათს, 28 მაისს, ბათუმიდგან ტფილისში ჩამოვიდა საფრანგეთის ორი ინჟენერი: გაბრიელ დიუმონი დი დიუ-პრეილ დე-გაბრიანი და ინგლისის ქვეშევრდომი ჯონ ბელკროსსი. ეს ინჟენერები ტფილისიდგან იმიერ-კასპიის მხარეს გაემგზავრებიან. („Т. Л.“).

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ქ. ქუთაისი.** აგერ თხუთმეტ წელიწადზედ მეტია, რაც ქუთაისშიაც შემოიღეს საქალაქო დებულება 1870 წ. როგორც მოგეხსენებათ, ამ დებულების ძალით ქალაქის საქმეების მმართვა და მკვიდრთა ყოფა-ცხოვრების შესახებ ზრუნვა აბარია ქალაქისავე ამორჩეულთ, რომელნიც თავის მხრით შეადგენენ ქალაქის საბჭოს. პირველად, როცა ასეთი წესი თვით-მმართველობისა შემოიღეს აქ, ქუთათურების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რადგან ჰფიქრობდნენ: ახალი მმართველობა მხნედ მოეკიდება ქალაქის გაძლიერების საქმეს, მოსძებნის სხვა-და-სხვა წყაროს მის შეძლების გასამატებლად და ამ ნაირად, დროთა ვითარების გამო დაქვეითებული და სიცოცხლე-მიმკრთალი, ჩვენი ქუთაისი განახლდება და მტერი და მოყვარე მეტის პატივისცემით მოეკიდებაო. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა ეს ჩვენი იმედი ტკბილი სიზმარი გამოდგა და ჩვენი ქუთაისი ისევ ის ქუთაისია, რაც ამ თხუთმეტის წლის წინად იყო.

ახალის მმართვა-გამგეობის ზრუნვა ქალაქის კეთილად მოწყობისათვის, მცხოვრებელთა ყოფა-ცხოვრების განკარგებისათვის, არაფრით არ განირჩევა პოლიციის მმართველობისაგან, რომლის მზრუნველობის ქვეშ ქალაქი იყო თვით-მმართველობის შემოღებამდე. რაც გინდა ბევრი ჩხრიკო და ჰქექო, დიოგენის ფარანიც რომ თან იქონიო, აქ იმისთანა საკეთილო საქმეს ვერა ჰნახავთ, რომელიც საქალაქო თვით-მმართველობას დაეწყოს და სანატრელად დაეგვირგვინებინოს. ყველგან და ყველაფერში რაღაც ნაირ უსულობას, უსიცოცხლობას და დაუდევრობას, უთავ-ბოლობას ამჩნევთ და შენი მტერია, თუ კვლავაც ასე მოიქცევა, როგორც დღემდის იქცეოდა თვით-მმართველობა... აქ ცხოვრება ყოვლად შეუძლებელი გახდება.

ქალაქის გამგეობას ბევრი მოვალეობა აწევს და ამ მოვალეობათა შორის არა მცირედი ადგილი უჭირავს ქალაქის ქუჩების განათების შესახებ ზრუნვას, მაგრამ როგორც ერთით, ისე მეორეთი ჩვენი ქალაქი ზოგიერთს სოფლებსაც-კი ვერ შეედრება. ერთად-ერთი ქუჩა, რომელსაც აქვს მიქცეული გამგეობის ყურადღება და რომლის შესახებაც განსაკუთრებულს გულ-შემატკივრობას იჩენს, „ტფილისის ქუჩაა“ და, წარმოიდგინეთ, სრული წელიწადია მას აქეთ, რაც ამ ქუჩის შეკეთება დაიწყეს და დღესაც არ არის მოთავებული. ამ დროის განმავლობაში, რასაკვირველია, ამ ქუჩაში მსვლელობა შეჩერებულია და ეს კიდევ არაფერი, რომ როდისმე გათავება მაინც ეღირსებოდეს, მაგრამ არა ვგონებ, რადგან შეაკეთებენ თუ არ ბოლომდის, ისევ თავიდგან დაიწყებენ და ამ ნაირად გამოვა „წაჯექ-უკუჯექობის“ თამაში. სხვა ქუჩებზედ ხომ სიტყვის თქმაც არა ღირს—სულ ყველა ისეა გაფუჭებული და გაოხრებული, რომ უბრალო წვიმა საკმარისია, კაცი სახლიდგან ვერ გამოვიდეს და, თუ არ დაიშალა და გამოვიდა, უსათუოდ იმ საცოდავის არსების „ისტორია“ მოუვა, რომლის შესახებ ამას წინად ერთი ქუთათური კორესპონდენტი გვიამბობდა.

განათების მხრითაც ამავე ყოფაშია ქალაქი. კიდევ კარგი, რომ მთვარე მოუცია ღმერთს ღამის გასანათებლად, თორემ, ეს რომ არ იყოს, შენი მტერი, რაც ჩვენ დღეში ვიქნებოდით. მომეტებული ნაწილი ქუჩებისა სულ მოკლებულია განათებას, ხოლო, სადაც არის, იქაც მკრთალ ვარსკვლავებივით ძლივს-ღა ჰბჟუტავენ ფარნები.

ზევით ჩვენ განზრახ შევადარეთ ჩვენი ქალაქი ზოგიერთ სოფლებს და უპირატესობა უკანასკნელთ ვარგუნეთ. ჩვენს პატარა სამშობლოში არის იმისთანა სოფლები (მაგ. საგარეჯო, ტფილისის მაზრაში) სადაც არსებობს სამკურნალო, ჰყავთ მკურნალი და ფერშალი. ქუთაისში-კი ამ გვარ დაწესებულების ხსენებაც არ არის. ამის გამო აქ ხელ-მოკლე კაცისათვის ავადმყოფობა დიდს უბედურებას შეადგენს და იშვიათად მოხდება, რომ რომელსამე სენს თავი დააღწიოს, რადგან არ შეუძლიან აქაურ „ესკულაპებს“ თავი შეაბრალოს სიღარიბით. ამათთვის სულ ერთია, ვინც უნდა იყოს, უფულოდ ტყუილად შველას ნუ სთხოვ, „ღარიბს უსასყიდლოდაო“ სახლის კარებზედ არ უწერიათ. ან და რა გასამტყუნარნი არიან, ასე რომ იქცევიან: უფულოდ ხომ ეტლის გაჩენა არ შეიძლება და ეტლი-კი უსათუოდ საჭიროა მათთვის, თუ მივიღებთ მხედველობაში ქუჩებზედ გაუვლელს ტალახს. მართალია, არის აქ კერძო სამკურნალო და საავადმყოფო მკურნალ თოფურიასი, მაგრამ სამკურნალოზედ რა მოგახსენოთ და საავადმყოფო-კი უბრალო მომაკვდავთათვის არ არის დაარსებული. განა ბევრია ჩვენს ქუთაისში იმისთანანი, რომელთაც შეეძლოთ დღეში სამის მანეთის გადახდა საავადმყოფოში წოლისათვის? თოფურიას საავადმყოფოში-კი სამი მანეთი დაწესებული ნიხრია. ამდენს ხანს გოსპიტალი გვქონდა, სადაც კარგადაც უვლიდნენ და ფასიც ზომიერი იყო, მაგრამ ბედმა თითქო ესეც შეიშურა და, ორი-სამი წელიწადია, რაც ისიც წაგვართვეს. დაგვიტოვეს მის მაგიერ ლაზარეთი, რომელიც საანატომიო სადგურის დანიშნულებას უფრო ასრულებს, ვიდრე საავადმყოფოსას.

ქალაქს აგრეთვე არა აქვს საკუთარი სასაფლაო, არ უვარგა სასმელი წყალი, ხოლო რაც შეეხება სხვა საქველ-მოქმედო დაწესებულებათ, როგორც, მაგალითად, თავ-შესაფარს უპატრონო ბავშვებისათვის, პროფესიონალ სკოლებსა და სხ., ესენი ხომ არ არიან და არ არიან.

უსამართლობა იქნებოდა ჩვენის მხრით, ყოველივე ზემო აღნიშნული ნაკლულევანება ქალაქისა, ქალაქის გამგეობასა და საზოგადოდ საქალაქო თვით-მმართველობის დაუდევნელობასა და გულგრილობას მივაწეროთ. რასაკვირველია, იმასაც წილი უდევს ამ საქმეში, მაგრამ მასთან ერთად სხვა მიზეზებიც ჰმოქმედობს. რადგან სულ ყველა ამ მიზეზის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, ამისათვისაც სიტყვის შესამოკლებლად დავასახელებთ ერთს უმთავრესს მიზეზს. ეს მიზეზია ქალაქის უსაშუალობა, რომელიც თავის მხრით შედეგია ვაჭრობის დაცემისა. მართლაც, ამ მხრით ძვირად მოიპოვება იმისთანა უბედური ქალაქი, როგორიც ქუთაისია. არა თუ წლობით, ასე გასინჯეთ, საათობითაც კი ჰკლებულობს მისი აღებ-მიცემა. აქაური ვაჭრები გულის ტკივილით უცქერიან, როგორ წინ მიდის, იზრდება და ჰმატულობს სხვა ქალაქები—ტფილისი, ბაქო, ბათუმი. ქუთაისი-კი სულ უკან-უკან მიდის. აქ ძვირად ჩამოდიან სოფლიდგან და დაბებიდგან სავაჭროდ. ვისაც ასი-ორასის მანეთის საქონლის ყიდვა უნდა ერთად, ის ტფილისსა და ბათუმს მიეშურება. ამისთვის აქაური ვაჭრები იძულებულნი არიან თავიანთი საქონელი ადგილობრივ დაწესებულებათა მოხელეებსა და მოსამსახურეებზედ გაასაღონ. ასეთ მომხმარებელთა სიმცირე არის მიზეზი იმისა, რომ აქ ორ-სამს ვაჭარსაც ვერა ჰნახავ, რომელიც ვალით და ვახჩით არ იყოს სავსე და ისე არა ვაჭრობდეს. რა გასაკვირველია ამას შემდეგ, რომ ქუთაისი ღარიბი იყოს, მოუწყობელი და მოურთველი. ქალაქის ძალა, ქონება და შეძლება ვაჭრობაა და სხვა არა-რა.

ი. სტ—ძე

# რუსეთი

რადგან რუსეთის მრავალის კუთხიდგან ამბავი მოდის, დამშეულს ადგილებში წრევანდელს მოსავალს კარგი პირი უჩანსო, ამიტომ ბევრნი ჰფიქრობენ, ეხლა-კი დროა, რომ მთავრობამ ნება-რთვა მისცეს რუსეთიდგან საზღვარ-გარედ ჭირნახულის ზიდვასაო, ხოლო ზოგნი სიფრთხილისა გამო ჯერ უდროოდ სცნობენ ასეთს ნება-რთვას. აი სხვათა შორის რას ამბობს გაზეთი „Новое Время“: „ესე უანგარიშოთ როდი უნდა მივეცნეთ სიხარულს, ესე ადრე არ უნდა დავივიწყოთ, რომ წარსულის წლის უბედურება ჯერ სრულიად არ მოგვიცილებია თავიდგან, რომ ახალ მოსვლამდე ჯერ კიდევ სრული ორი თთვეა. ვიდრე კარგად არ დავრწმუნდებით, რომ ჩვენში პური საკმარისი გვაქვს ხალხის გამოსაკვებად, და კარგს ახალს მოსავალს თვალით არა ვნახავთ, მანამდე საზღვარ-გარედ რუსეთიდგან ჭირნახულის ზიდვის ნება-რთვა ძლიერ ნაადრევი და საშიში იქნება. ასეთს სიფრთხილეს იმიტომ ვურჩევთ, რომ სხვა-და-სხვა კაცთა და დაწესებულებათა მიერ ნაუწყები ამბები დამშეულ ადგილების შესახებ ჯერ მართლა სამკვიდრო იმედებს არ იძლევა. აი, მაგალითად, ვორონეჟისა, ყაზანისა, კურსკისა, ნიჟნი-გოროდისა, ორენბურგისა, პერმისა, რიაზანისა, სარატოვისა, ტულასი და უფას გუბერ-

---

კაცი ვარ, მოვიგონო ჩემი წარსული, ჩემი მოქმედებანი შინაური, გინა გარეული—ჩემი სული და გული რა დროს რის მქმნელია, რის მაფიქრებელი. საზოგადოდ რომ ვსთქვა, კაი კაცი ვარ. რადაო? იკითხავთ. იმიტომ-რომ გრძნობიერი ვარ. სულ ტანჯულების, დაჩაგრულების სურათი მიდგება თვალ-წინ და ვტირი. იცოდეთ ტირილი შემიძლიან, არა ვარ უგულო, ხომ იცით, ვისაც სატირელზედ ტირილი არ ძალ-უძს, იგი 99°/₀ ცხოველია 1°/₀ ადამიანი. შურზედ როგორღა ვარ, იმ შურზედ, რომელიც ქართველის კაცის სული და გულია? შურიანი კი ვარ. რა შემთხვევაში? მაშინ, როცა ვხედავ, რომ ჩემზედ მეტად სხვაა მობრალული. ერთი უმთავრესი ნაკლი ჩემი ისაა, სიმდიდრე მიყვარს, მინდა მდიდარი ვიყო. რადაო? იკითხავთ. ღარიბი ვარ და იმიტომ. ყველაზედ მეტადკი მინდა, რომ ნასწავლი ვიყო, ძლიერ ნასწავლი, სულ ვიცოდე წუთი-სოფლის თავი და ბოლო, მაგრამ ის-კი არ მინდა, რომ მარტო მე ვიყო ასეთი ნასწავლი. არა, ყველანი იყვნენ, ყველანი, მთელი კაცობრიობა ჭკუითაც, სწავლითაც. მაშინ რა იქნებოდა? ის, რომ ქვეყანა გაბრიელი იქნებოდა და გაბრიელი—ქვეყანა... ეს კი როგორღაც მოსაწონი საქმე არ გამოვიდოდა. თუ მართლა კაი კაცი ვარ, ბრაზიანობა რადა მჭირს? რად ავენთები ხოლმე, როცა მაწყენინებენ? რატომ არ ვიცი მოთმენა?! ალბად იმიტომ, რომ მართალს, კაი კაცს სწყინს უსამართლობა. როცა ჩემის კაცობის დამცრობას ვინმე მოინდომებს, მაშინ „საწყალი“ გაბრიელი ჯიბეში დანას ეძებს, რომ მუცელში ატაკოს იმ თავ-ხედს ადამიანს. რად უნდა ვინმე შეურაცხმყოს, ვისთვის რა დამიშავებია?! ყველასათვის კარგი მინდა, როგორც ჩემის თავისათვის, და ისა მწყინს, ჩემს შეურაცხმყოფელს რატომ არ უნდა ესმოდეს ესა, იქამდის გონება დაბნელებული როგორ არის? მაშასადამე, ჩემი შეურაცხყოფა კი არა, ბრიყვის საბრიყვე მწყინს, არ მემეტება ბრიყვი სიბრიყვისათვის, ბრაზიც იმიტომ მომდის. თორემ ჩემის ლანძღვიდგან რა გამოვა? ნუ მახლებს ნურავინ ხელს და ღმერთი გამიწყრეს, თუ ვისმე ვუთხრა, თვალს ზევით შავი რადა გაქვსო. არ ვეტყვი, აღარ მეუბნება გული, ვებრძოლო სხვას, ისიც მენანება, რაც ვიბრძოლე სრულიად უნაყოფოდ. ვრწმუნდები ჩემდა გულის საკლავად, რომ არ შემძლებია უსამართლობის შემუსვრა, ამის გამო დღითი-დღე ტვინზედ ობი მეკიდება და გულზედ ჟანგი. ერთს დროს დარწმუნებული ვიყავი, მთას რომ ვუბძანო აიკრიფე ამ ადგილიდგან და სხვაგან გადასახლდი, გამიგონებს-მეთქი, და დღეს-კი ვტირი ცხარე ცრემლით ჩემს მოტყუებულს რწმენაზედ... რაც უნდა გავლაჩრდე, რაც უნდა დავეცე, დავმცირდე, მაინც, ჩემო მეგობრებო, რომელნიც ჩემთვის არსად არსებობთ, უსამართლოებაზედ ჩუმ-ჩუმად კბილებს ვილესავ. დავბერდები და მოვკვდები უსამართლობის მტრად და მოსისხლედ. ეხლაც თვალ-წინ მიდგია მისი ბასრი კლანჭები, მისი გაქვავებული გული, სისხლ-მორეული თვალები. ჰაი, შე ბოროტო, შე უნამუსოვ!..

საწყალო, საწყალო და კიდევ საწყალო გაბრიელო!

—

ნეტავი იმას, ვინც ახალგაზდა კვდება, კვდება მაშინ, როცა გული უდუღს, როცა ბევრი რამ სწამს, სჯერა თავისი ძალ-ღონე. ამ დროს მისი სიკვდილი ახლად გაფურჩქვნილის ვარდის მოწყვეტასა ჰგავს, რომელსაც ყველა ხელს მიაწვდის, ყველა ეტანება მის სუნს, სცდილობს მისის ცქერით დასტკბეს.

ჩემ ფერად გამხდარის კაცის სიკვდილი-კი დიდის ხნის მოჭრილს ხესა ჰგავს, დამპალს, დამშმარს. შიგნიდან შემომადგებაო, ამისთვისაც-კი არავინ მიაწვდის ხელსა... თავს ბრუ მესხმის, გული კვდება, როცა ამას ვფიქრობ. სიცოცხლე მადლია, თუმცა ჩემთვის მატლადა ქცეულა.

—

არ მინდა მოვიგონო ჩემი წარსული, არ მინდა, იმიტომ-რომ იქ სანუგეშოს ვერაფერსა ვხედავ. სიამოვნებით მოვიგონებ მარტო ჩემს შეგირდობის დროს. ნეტავი სიბერემდე შეგირდი ვყოფილიყავი ჩემის ამხანაგებითურთ, რომელნიც მიცნობდნენ და რომელთაც ვიცნობდი. მაშინ მე ცხოვრებასთან საქმე არა მქონდა და ცხოვრებას ჩემთან: იდეალების სამეფოში დავფრინავდი. ეხლა აღარაფერი ვიცი არც ჩემის ამხანაგებისა, ვინ მოკვდა, ვინ ცოცხალია, ვინ რას აკეთებს, რასა ჰფიქრობს,—ვინ რა კაცი გამოდგა ცხოვრებაში...

სხვა არაფერი დამრჩენია ნუგეშად, ისევ უნდა ვიმღერო, მაგრამ ვაი ამისთანა სიმღერას, ნაღველითა და ვარმით შენენებულ-შედედებულს რა. ლამაზად უთქვამს ხალხს:

განა ლაღი ვარ, მიტომ ვმღერ,
გულისა დარდსა ვიქარვი?..
ვინც ჩემზედ იტყვის ლაღია,
ჩამსავით ლაღიმც ის არი!

—

დარდმა და ბოღმამ დამლია,
გულზედ დამატყო იარა.
გულს ხისლი მაწევს შავ-ბნელი,
სიბნელე სუფევს, მზე არა.
ღამე მარტყია გარშემო,
დღეც ღამე არის, დღე არა.
გველ-ბაყაყებთან დავცურავ
ხელთ მიპყრავს შხამით ფიალა.
ჩემი ადამის ტომობა
ასე რამ გაატიალა?!

—

ზოგს ეტკბილება სიცოცხლე,
ზოგს ზარავანდი ჰგონია.
ლხენა-სილაღის გამჩენსა
დარდი რად მოუგონია?!

—

სხვა ვერა მიშველს გულ-მოკლულს,
ტრფობა შემასვით ხშირადა,
მაშინ დამტკბება სიცოცხლე,
თუნდ ვგდო რიყის პირადა.

ნარ-ეკალა

ნიებში ხალხის გამოსაკვებად საჭირო პური ჯერ სრულად არ არის შეძენილი“. ამის გამოვო, ამბობს ხსენებული გაზეთი, ჯერ-ჯერობით ხელიდგან არ უნდა გავუშვათ ჩვენი გავლენა პურის ფასის განწესებაზედ, თორემ პური ფუთი ერთს მანათზედ ძლიერ მეტადაც იყიდება ამ ჟამად ბევრს ადგილას, როგორც არა ერთს გაზეთს აუწყებენ დეპეშით. დიდი გაბედულობა უნდა იქონიოს კაცმა, რომ ასეთს დროს აიღოს და ნება დართოს, შეგიძლიანთ რუსეთიდგან საზღვარ-გარედ ზიდოთ ჭირნახულიო. ასეთისავე აზრისაა გაზეთი „Русская Жизнь“-იც. ნება-დართვის მომხრენი გაიძახიანო, ამბობს გაზეთი, რომ ხალხი გამოვკვებეთო, მაგრამ განა გამოკვება ჰქვიან იმას, რომ კაცმა თთვეში ორის ფუთის მაგიერად მხოლოდ ნახევარ ფუთით ისაზრდოოს და, წმინდა, რიგიანის პურის მაგიერ, გაუცრელი, სხვა-და-სხვა ბალახ-ნარევი პური სჭამოს მარტო იმისთვის, რომ სიმშილი მოვიკლაო. მაშ თუ ასეა, ტროშიუსაც შეეძლო ეთქვა, პარიჟს მოჭარბებულიცა ჰქონდა პურიო, რადგან, ვიდრე პარიჟი დაემორჩილებოდა მტერს, მართლა იკვებავდა თავს თავისის პურითაო.

## უცხოეთი

„New-York-Herald“-ის პარიჟის გამოცემაში დაბეჭდილია ამავე გაზეთის კორესპონდენტის ლაპარაკი, რომელიც მას ბისმარკთა ნჰქონია ფრიდრიხს რაგეში. ლაპარაკი გამოიწვია თურმე ახლად დაბეჭდილმა ბროშიურამ: „ბერლინი - ვენა-რომი“. კორესპონდენტი ამბობს, თავადმა ბასმარკმა სთქვა, რომ ამ ბროშიურის ავტორს სურს, კარგი თანამდებობა მიიღოს და ამის გულისთვის სცდილობს გერმანია რუსეთს წაჰკიდოსო. შემდეგ ბისმარკს უთქვამს, ავსტრია მოვალეა დაეხმაროს გერმანიას მხოლოდ რუსეთის წინაამდეგ და არა საფრანგეთისაო.

— ამ დღეებში პარიჟში აკურთხეს „შრომის ბირჟა“. ეს შენობა პარიჟს სამი მილიონი დაუჯდა და, ამას გარდა, ყოველ წლივ გადადებულია 100,000 ფრანკი ამ შენობის რიგიანად შენახვისა და შეკეთებისათვის. შენობაში რამდენიმე დიდი დარბაზია კრებისათვის და 150-მდე ოთახი სხვა-და-სხვა სინდიკატის კერძო კრებისათვის. მთელი ქვემო სართული დანიშნულია იმ მუშებისათვის, ვისაც დროებით სამუშაო არა აქვს.

ბირჟის კურთხევას დაესწრნენ სინდიკატების პრეზიდენტნი და რამდენიმე ათასი მუშა-კაცი. მთავრობის მიერ ოფიციალური წარმომადგენელი არ დასწრებია კურთხევას. სამაგიეროდ დაესწრნენ კურთხევას: სენატორი რობლე და რადიკალებისა და სოციალისტების დეპუტატნი. პარიჟის საბჭოს პრეზიდენტმა შესაფერი სიტყვა სთქვა: „ქალაქის საბჭო გაბარებთ რა შრომის ბირჟას, იმედი აქვს, რომ საკეთილოდ ისარგებლებთ და ბირჟის შემწეობით დაიკმაყოფილებთ თქვენს სამართლიანს მოთხოვნილებასაო“. სანტონს შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა თურმე ბირჟის მუშამ ჟიულლმა და შემდეგ მისმა ამხანაგმა რუსელმა, რომელმაც, სხვათა შორის, სთქვა: „ჩვენ, მუშებს, მტერი არა გვყავს არც რეინის გადაღმა და არც ალპის იმიერ-მხარეს. მხოლოდ იმასა ვცდილობთ, რომ ბოლო მოვუღოთ უსამართლობას და ერთი კაცი მეორეს არ დავაჩაგვრინოთო“.

## გასართობი

### წერილი მეგობრის მიმართ

ძმაო ილბლაძევ! ძლივს მეღირსა წერილის მოწერა შენთან. გამოგიტყდები, ბევრჯელ დავაპირე წერილის მოწერა, მაგრამ ვერ მოვასერხე, რადგანაც ფოსტის მარკისთვის არც ერთს ჯიბეში 7 კაპეიკი არ მომეძებნებოდა. დიდი ხანი დავეხეტებოდი ქალაქში უსაქმოდ, მშიერმწყურვალი, ვიდრე...

მაგრამ დაწვრილებით გიამბობ. ერთხელ, როცა ბნელს ოთახში ვიჯექი (სანთლის ფულიც არა მქონდა), ერთბაშად ბრწყინვალე აზრმა გამიელვა: მოდი და მეც ისეთს წამალს მოვიგონებ-მეთქი, რომელიც ყველა სენსა ჰკურნავს და მოხუცებულს ახმაწვილებს. მართლაც, მე რაღა ნაკლები ვარ კოხზე, ბროუნ-სეკარზე, გაჩკოვსკიზე და სხ. ვიფიქრე და ჩემი ფიქრი განვახორციელე კიდეც. ოთახში მივიხედ-მოვიხედე. ერთს კუთხეში ვაქსის კოლოფი დავინახე, რომელშიაც ცოტა ვაქსი ჩარჩენილიყო. ტახტის ქვეშ ერთი გაბზარული ჭიქა ეგდო. კიდევ კარგად დავათვალიერე ჩემი ოთახი და სტოლის უჯრაში მეხვის გამხმარი ნაჭერი ვიპოვე. ამაზედ მეტი არსად არაფერი არ მომეძებნებოდა. ერთს წუთს გაბზარული ჭიქა წმინდად დავბანე, მივუმატე ვაქსი და მეხვის ნაჭერი, ყველა ეს წყალში ჩავყარე, დავზილე და გაკეთდა შესანიშნავი მალამო, რომელმაც მთელი კაცობრიობა უნდა გააბედნიეროს, სნეული განკურნოს და მოხუცებულს ძარღვებში სისხლი აუჩუხჩუხოს და გააჭაბუკოს.

დავიქირავე კარგი სახლი და ეხლა, სწორედ გითხრა, უეინსაც არ მივცემ სალამს. ამ წერილთანვე ფულსაც გიგზავნი. მიიღო თუ არა, ჩემთან წამოდი. იმდენი სულელი ხალხი მაწუდება საწამლავად, რომ ვერ ავუდივარ და თანაშემწე მეჭირვება.

???

## დეპეშა

29 მაისი

განსაკუთრებულმა კომიტეტმა გადასწყვიტა ამიერიდგან გემით „Tynehead“-ით მოსული პური 308 ვაგონი გაგზავნოს შემდეგს გუბერნიებში: ყაზანისა, პერმისა, სიმბირსკისა, სარატოვისა, სამარასი, ორიოლისა, რიაზანისა, ტამბოვისა, ორენბურგისა, ვორონეჟისა, ტულასი, პენზასი, სმოლენსკისა უფასი, ნიჟნი-გოროდისა და ხარკოვისაში. 5,000 მანათი იქმნა გადადებული ასტრახანსა და ცარიცინში სასანიტარო საქმის განსაკარგებლად. სამარის საქველ-მოქმედო კომიტეტს მიეცა 60,000 მანათი, ვიატკისას 25,000 მანათი და „წითელის ჯვრის“ სამზრუნველოს ორენბურგის გუბერნიის ჩელიაბინსკის მაზრისას 15,000 მანათი.

გუშინ გარდაიცვალა უმხცოვანესი ადმირალი ზელენოი პირველი.

**პარიჟი.** როიალისტ-დეპუტატთა პირველმა პალატამ ბჭობა მოახდინა და შეიწყნარა განჩინება იმის შესახებ, რომ პატივისცემით მოვეკიდნეთ პაპის გარდაწყვეტილებას სარწმუნოების შესახებ, ხოლო ჩვენც ნება გვქონდეს, რომ ჩვენი საკუთარი საპოლიტიკო რწმენანი ვიქონიოთო.

**ბარსელონა.** გაფიცულთა მიერ აგიტაციის გაძლიერების გამო შიშიანობის წესი გამოაცხადეს. ჰშიშობენ, მუშაობას შესწყვეტენო. ბევრს ქარხანაში შეტაკება მოუხდათ ჯარსა და მუშებს.

### პეტერბურგის ბირჟა, 29 მაისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,62 | 7,65 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 152½ | 153½ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 241½ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 221 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | 193 | 193¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% . . . . . | — ,, | — ,, | 101½ |
| 5% . . . . . . | — ,, | — ,, | 99,62 |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | — ,, | — ,, | 101½ |
| 5% . . . . . . | — ,, | — ,, | 99½ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98½ | — ,, | — ,, |

## გამოსადეგი ცნობანი

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . . , . . „ . 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

**ბათუმიდამ გადის:**

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

**ბათუმში მოდის:**

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განთიადისას.

**ფოთიდგან გადის:**

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობითი-საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

### ნიხრი

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | „ | კ. |
| წითელი „ 1-ის ხარისხ. | „ | „ |
| „ „ 2 | „ | „ |
| თონ. წით. პურ. 1 ხარ. | „ | „ |
| „ „ „ 2 | „ | „ |
| „ „ „ 3 | „ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში. | | |
| 1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. | | კ. |
| მე-2 „ „ „ „ | | . |
| მე-3 „ „ „ „ | | „ |
| ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა | 8 | „ |
| „ „ 2 „ | | „ |
| სუკი — — — | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი — — | 9 | „ |
| ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. | 7 | „ |
| მე-2 ხარ. ტყავიანად | 6 | „ |


## განცხადებანი

კბილის ექიმი
**ა. ი. ორბელი**
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 10 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—53)

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიამ**
მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . | „ | 40 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II და III ტომი თითო ტომი. . | 1 | 20 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი. . . . | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . . | 1 | 20 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . . | „ | 80 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| წყალობა პოემა მისივე . | „ | 20 |
| სურამის ციხე მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . . | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . . | „ | 15 |
| ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . | „ | 50 |
| სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . | „ | 30 |
| აქვთები ბოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . | „ | 50 |
| ონიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა . | 1 | „ |
| კიკოლიას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . . | „ | 20 |

წარმოება
ასფალტის სამუშაოთა.
ისყიდება
**ასფალტი და გუდრონი**
უმაღლესად დამტკიცებული სიზრანის ასფალტის ქარხნის საზოგადოება ტფილისსა და ბათუმში.
მსურველთ უნდა მიჰმართონ შემდეგის ადრესით:
ტფილისში, ალექსანდრეს ქუჩა, სახლი № 5 ი. მ. ჩერნიაევს;
ბათუმში, ბაღის ქუჩა, სახლი № 3 პ. პ. სუხანოვს..
(15—4)

**მაღაზია სარპინკებისა**
(ტფილისი, სოლოლაკის ქუჩა, სახლი ალაბაბოვისა).
ხელ-მოსაცემი და სარფა საზაფხულო ქსოვილი, ხელით-ნაკერები ქალებისა და ყმაწვილების ტანისამოსისათვის და აგრეთვე მამაკაცთა პერანგებისათვის
დიდ-ძალი განიერი სარპინკები ზოლებიან-არშიანები. სარპინკის წინდად საქსოვი ძაფი, სხვა-და-სხვა უხუნარის ფერისა, ჰრელ წინდებისა და ჩულქების საქსოვად.
სარპინკის ტანისამოსი ქალისა ყუთებიანად 3 მან. და 60 კაპეიკიდამ დაწყებული.
სარპინკის იუბკები 1 მან. და 80 კაპ. დაწყებული და უფრო ძვირებიც.
სარპინკის ცხვირსახოცები და თავზე-მოსახვევები.
ფაბრიკის პატრონები სავაჭრო სახლი:
ბენდერ და სცეფანოვი
(35—56—21)



Дозв. ценз. Тифлисъ, 30-го Мая 1892 г.
სტამბა მ. შარაძის.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.